პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
24 ნოემბერი
№ 270 (17614)
ფასი 2 კაპ.

საქმემ გამოაჩინა

თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მჭსოველმა მანანა ბახილაშვილმა უკვე შეასრულა პირადი ხუთწლედი. „ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია“ — ასეთი დევიზით შრომობს მოწინავე მუშა. მის მიერ გამოშვებული მთელი პროდუქცია მაღალ შეფასებას იღებს.

მანანა ბახილაშვილი ათი წელია საწარმოში შრომობს, სათავეში უდგას სოციალისტურ შეჯიბრებას.

ამჟამად შრომის მოწინავე ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას.

სურათზე: თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მჭსოველს მანანა ბახილაშვილს პირადი ხუთწლედის შესრულებას ულოცავენ საამჭროს ტექნოლოგი რუსუდან შალამბერიძე და კონტროლიორი რუსუდან დავითაშვილი.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხუთწლედი — ვადამდე!

შეამცირეს თვითღირებულება

ტყიბული, (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივმა (დირექტორი — გ. წაქაძე) ახალი გამარჯვება მოიპოვა, სამშობლოს გადამდე 10 დღით ადრე უპატაკა ქვანახშირის ამოღების ათი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულება. შახტის ბუნკერიდან ზეგეგმითი ქვანახშირით დატვირთული უკვე ოცდამეექვსე სარკინიგზო ეშელონი გავიდა.

შარშანდელთან შედარებით აქ წლიურს მნიშვნელოვნად გაუზარდა სანგრევის სადღეღამისო დღვირთვა, გაიზარდა თითთვიული მუშის შრომის ნაყოფიერება და გაიაფდა მოპოვებული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მესამე და მეოთხე უბნები.

ბუთწლედი — ვადამდე!

შეამცირეს თვითღირებულება

ტყიბული, (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივმა (დირექტორი — გ. წაქაძე) ახალი გამარჯვება მოიპოვა, სამშობლოს გადამდე 10 დღით ადრე უპატაკა ქვანახშირის ამოღების ათი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულება. შახტის ბუნკერიდან ზეგეგმითი ქვანახშირით დატვირთული უკვე ოცდამეექვსე სარკინიგზო ეშელონი გავიდა.

შარშანდელთან შედარებით აქ წლიურს მნიშვნელოვნად გაუზარდა სანგრევის სადღეღამისო დღვირთვა, გაიზარდა თითთვიული მუშის შრომის ნაყოფიერება და გაიაფდა მოპოვებული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მესამე და მეოთხე უბნები.

განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1979 წლის 22 ნოემბერს

ამხანაგებო!

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა კარგად იციან, რომ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ინიციატივით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 27 სექტემბერს მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკის სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და ამ ბოლო წლების ცნობილ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისას.

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ და შევაფასოთ ახალი დადგენილების მნიშვნელობა, ჩვენ კრიტიკულად უნდა გავაანალიზოთ განვლილი გზა, განვაზოგადოთ ყოველივე დადებითი, დავსახოთ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების დაძლევის პროგრამა.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ არსებითი ცვლილებანი მოხდა ჩვენი სოფლის მეურნეობის რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებში. 1972-1978 წლებში მთლიანი პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1,5-ჯერ გაიზარდა. თუ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიულ ნიშანსვეტამდე სერიოზულად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშიროს, უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მან რესპუბლიკაში შეადგინა 51 პროცენტი, ხოლო კავშირში — 22 პროცენტი. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდამ ერთ სულ მოსახლეზე ჩვენში შეადგინა 45 პროცენტი, ხოლო კავშირში 15,5 პროცენტი.

შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში 1978 წელს 1972 წელთან შედარებით გაიზარდა 53 პროცენტით, ხოლო საშუალოდ საბჭოთა კავშირში — 29 პროცენტით.

რა თქმა უნდა, შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთი ტემპი წარმოუდგენელი იქნებოდა, სოლიდური ტექნიკური ბაზით რომ არ ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამ წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ძრავების კრებსითი სიმძლავრე ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა, 26 პროცენტით გადიდდა წლიური გადიდებაც ერთ ტელანურ ტრაქტორზე გაანგარიშებით.

შეამბეჭდავი წარმატებანია მიღწეული სოფლის მეურნეობის ბევრი დარგის განვითარებაში. რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის წარმოება შესადარ პერიოდში გაიზარდა 56 პროცენტით, ციტრუსებისა — 3,8-ჯერ, ყურძნისა — სამჯერ, ბოსტნეულისა — 54 პროცენტით, კარტოფილისა — 71, ხორცისა — 21, რძისა — 29, კვერცხისა — 46 პროცენტით. ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ სექტორში წარმოების უპირატესი ზრდა. 1972 წელთან შედარებით მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობაში პროდუქციის წარმოების ზრდამ 1978 წელს შეადგინა 34 პროცენტი, ხოლო საზოგადოებრივ სექტორში ეს მაჩვენებელი 53-დან 59 პროცენტამდე გაიზარდა.

კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა. შარშან საზოგადოებრივმა მეურნეობებმა და მოსახლეობამ სახელმწიფოს მიჰყიდეს 1972 წელთან შედარებით მეტი: მარცვლეული — 17 პროცენტი, ბოსტნეული — 83, კარტოფილი — 115, ხილი — 57 პროცენტი, ციტრუსები — 3,5-ჯერ, ყურძენი—3,6-ჯერ მეტი, ხორცი — 43 პროცენტი, რძე — 46, კვერცხი — 112 პროცენტი.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სტაბილიზებულია 68,5-70 პროცენტის დონეზე პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის წარმოება.

წინა სეზონში სტანდარტული პროდუქციის ხილის კრეფის ხვედრითმა წონამ შეადგინა 95 პროცენტი მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის 85 პროცენტთან შედარებით.

ამ წლების მანძილზე დაშზადების საერთო მოცულობაში უმაღლესი და საშუალო კატეგორიის ნასუქობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესყიდვის წილი 73,9-დან 86,4 პროცენტამდე გაიზარდა, პირველი ხარისხად ჩაბარებული რძისა — 25-დან 64 პროცენტამდე.

საინტერესო გაანგარიშება აწარმოეს ეკონომისტებმა: მარტო სახელმწიფოსათვის მოყიდული ჩაის, ყურძნის, ხილის, ხორცისა და რძის თვისებრივი მაჩვენებლების გაუჯობესების გზით ჩვენმა კოლმეურნეობებმა, სახელმწიფო მეურნეობებმა და მოსახლეობამ ამავე პერიოდში მიიღეს 463 მილიონი მანეთი დამატებითი შემოსავალი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციამ ხელი შეუწყო სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ზრდას.

1972 წელთან შედარებით შარშან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურების სახით გაცემული თანხა 60 პროცენტით გაიზარდა. ერთი კაცდღის ანაზღაურება კოლმეურნეობებში გადიდდა 4,1 მანეთიდან 6,3 მანეთამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 4,3-დან 6,1 მანეთამდე. საგულისხმოა, რომ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის ანაზღაურებას გაუტოლდა. ეს დიდი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მონაპოვარია.

ამ წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მიმდინარე მთელი მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესთან, ქვეყნის აგრარული განვითარების ამ, როგორც პარტია გვასწავლის, ერთადერთ სწორ, მაგისტრალურ გზასთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა გასული წლის თებერვალში დასახა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ძირითადი პარამეტრები, შეიმუშავა მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში მემცენარეობისა და მეცხოველეობის ყველა დარგის განვითარების პროგრამა და განსაზღვრა მისი მიმართულებანი.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იხვეწება ყველა დონეზე სოფლის მეურნეობის მართვა. ეს განსაკუთრებით ეხება ტერიტორიულ ორგანოებში, რომელთა როლი დარგის თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის პროცესში განუხრელად იზრდება.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის აღმავლობა ჩვენში ხორციელდება თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის შესაბამისად. მან უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ნიადაგ მზარდი საჭიროება და სწრაფად განვითარებადი საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მოთხოვნილებანი სურსათ-სანოვაგეზე, აგრეთვე აამაღლოს საქართველოს სს რესპუბლიკის, როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მწარმოებლის როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში.

ეს კურსი ხორციელდება პარტიული კომიტეტების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სულ უფრო დიდი ორგანიზაციულ-პოლიტიკური და მასობრივი მუშაობის საფუძველზე.

შეიძლება ჩამოვთვალოთ მოწინავე კოლექტივების ათობით ინიციატივა და თაოსნობა, სასახელო წამოწყებანი, რომლებსაც პარტიის რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დაუჭირეს მხარი. მთელი რესპუბლიკა გამოეხმაურა აჭარის მეჩაიეთა, ცხაკაიას რაიონის მიწათმოქმედთა ინიციატივას, რომლებმაც ითავეს გაზარდონ სოიის წარმოება, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მეკარტოფილეთა თაოსნობის — საერთო-საკავშირო ფონდში ჩარიცხეს ფოთლის მიწოდების გასაოცრებლად, საგარეჯოელ მექანიზატორთა ინიციატივას, რომლებმაც იკისრეს სხვა რაიონების ტექნიკის გამოუყენებლად მოკლე ვადებში აეღოთ სამარცვლე თავთავიანი კულტურების მოსავალი, ხობის რაიონის მშრომელთა თაოსნობას ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად და სხვ.

წარმატებით ასახავენ ხორცს თავიანთ თაოსნობას მახარაძის რაიონის მშრომელები, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს მომდევნო ხუთწლედის დამდეგისათვის ხორცის წარმოება ინტენსიური სუბტროპიკული მიწათმოქმედების რაიონში ისეთ დონემდე აიყვანონ, რომ უარი თქვან ამ პროდუქტზე რაიონის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დოტაციის მიღებაზე. რესპუბლიკის ერთადერთი რაიონი, რომელმაც ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის შეასრულა ხორცის შესყიდვის წლიური გეგმა, მახარაძის რაიონი გახლავთ.

აი ასეთი ინიციატივები კვეთრდება ჩვენ.

კარგი გამოდგა ორგანიზატორულ-პარტიული მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და პირუტყვის გამოზამთრების დამდეგ-დამლევს მეცხოველეობის ფერმების მდგომარეობის ყოველწლიური დათვალიერებანი, ზონალური თათბირები მორიგი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დაწყების წინ, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის შეხვედრები პარტიის რაიკომების მდივნებთან გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების გაანალიზების მიზნით და მასობრივ-პოლიტიკური ხასიათის სხვა ღონისძიებები.

ამიგად, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ განვლილი უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა შეიმუშავეს თავიანთი მუშაობის სტილი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ხელმძღვანელობის მეთოდები და პრაქტიკა.

მაგრამ პრობლემები და ნაკლოვანებები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს.

დღეს კი, როცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალ ლორკალთან დაკავშირებულ ჩვენს ამოცანებს განვიხილავთ, საჭიროა უფრო ზუსტად ჩამოვაყალიბოთ სოფლის შრომითი რესურსების პრობლემა, დავსახოთ მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში მათი ყველაზე ეფექტიანი გამოყენების გზები.

საქმე ის არის, რომ საქართველოში ყოველი 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებაში დასაქმებულ 19-მდე კაცზე მოდის, საშუალო საკავშირო მაჩვენებლით კი 4 კაცზე. სხვა ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებთან ერთად ასეთი მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ, ჯერ ერთი, ჩვენ გვაქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა ქვეყანაში მრავალწლოვანი ნარგავების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით, რომლის მექანიზაციაც ჭირს, მეორეც, ჩვენ გვაქვს ძვირფასი სამხრეთული კულტურების პროდუქციის წარმოების გადიდების რეალური შესაძლებლობა რთული რელიეფისა და წვრილკონტურიანობის პირობებში, რაც გვიანრანეულს დარგს დიდძალი შრომითი რესურსები დაჭუთმოთ. სწორედ ეს არის თავიდათავი ჩვენი ერთგვარი სისუსტისა — ენერგოიაღჭურვილობისა და შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე, რის გამოც შედარებით მკირეა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მშრომელთა ხელფასი.

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ჩვენ ნებისმიერ სხვა მოკავშირე რესპუბლიკასთან შედარებით გაცილებით მეტი შრომითი რესურსები გვყავს დასაქმებული პირად დამხმარე მეურნეობაში, სადაც სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საზოგადოებრივად სასარგებლო პროდუქტის 41 პროცენტი იწარმოება მაშინ, როცა საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 25 პროცენტია.

ჩვენ უთუოდ გვმართებს გონივრულად და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ინტერესების შეულახავად ვარეგულიროთ შრომითი რესურსების გადანაწილების პროცესები.

მაგრამ ამ პრობლემას ჯერ გადავჭრით ერთი ხელის დაკვრით, ენერგოიაღჭურვილობის დონის მექანიკური ამაღლებით საშუალო საკავშირო მაჩვენებლამდე, რომელსაც 4-ჯერ ჩამოვრჩებით. ჩვენ ძირითადად უნდა ავამაღლოთ მთის ფერდობების დამუშავებისათვის ვარგისი სპეციალური ტექნიკის ენერგოიაღჭურვილობისა და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის დონე, ვინაიდან ენერგოუზრუნველყოფის (100 ჰექტარ სათეს ფართობზე ენერგორესურსების არსებობის) მხრივ ჩვენ ახლაც არსებითად ვუსწრებთ საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

მცირე და მთის მექანიზაციის მანქანათა სისტემის შესაქმნელად უკანასკნელ ხანს ბევრი რამ კეთდება როგორც რესპუბლიკის ძალების მეშვეობით, ისე საკავშირო ორგანოების დახმარებით. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპი უკანასკნელი 6 წლის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი იყო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უახლოეს წლებში უნდა მიაღწონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონის ამაღლებაში მკვეთრ გარდატეხას, რამაც უნდა გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობის ყველა ეკონომიკური მაჩვენებელი და გამოათავისუფლოს მნიშვნელოვანი მოცულობის შრომითი რესურსები.

ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობა წარმოებს მოსახლეობასთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოოპერირებისათვის, რათა უკეთ გამოვიყენოთ მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების გადიდების რეზერვები. ამის გამო რესპუბლიკის სახელმწიფო საკომიტეტმა და კონტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სასწრაფოდ უნდა სრულყონ საზოგადოებრივ სექტორსა და მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობაში შრომითი რესურსებისა და შრომის ნაყოფიერების მეთოდიკა, დაიწესონ მისი ერთიანი აღრიცხვა.

მეცნიერების — ეკონომისტების, პრაქტიკოსი მუშაკების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გახდეს ადგილებზე შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა ზონასა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მაღალ, ყოველმხრივ დაინტერესებას მიწის, ტექნიკისა და წარმოების სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენებით, რათა მკვეთრად გაიზარდოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და გაუმჯობესდეს მათი ხარისხი.

უნდა ითქვას, რომ სოფლის მშრომელთა მატერიალური სტიმულირების მოუგვარებლობის ერთ-ერთი მიზეზია დაბალრენტაბელური და ზარალიან მეურნეობათა დიდი რაოდენობა. მათი რიცხვი რესპუბლიკაში 513-ს შეადგენს.

ამ მეურნეობათა უმრავლესობა მთისა და მთისწინეთის ზონებშია განლაგებული. მთის ზონის 23 კოლმეურნეობაში საერთოდ არ არის არც ერთი ტრაქტორი, ხოლო 168 კოლმეურნეობას თითოეულს 1-3 ტრაქტორი აქვს.

და ბოლოს, მთის რეგიონში — მას კი რესპუბლიკის ტერიტორიის დაახლოებით 60 პროცენტი უკავია — სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობების ჩვენეული დახასიათება არასრული იქნებოდა, შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციის პრობლემას რომ არ შეეხებოდით.

მარტო შარშან მაღალი მთის რაიონების კოლმეურნეობებში კოლების რიცხვი შემცირდა 662-ით, ხოლო შრომისუნარიანი მოსახლეობისა — 2.730-ით, აქედან მამაკაცებისა — 1.820-ით. ცხადია, ეს პროცესი, თუ იგი არ მოწესრიგდა, სერიოზულ სიძნელეებს გამოიწვევს ცალკეულ სახეობათა პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა კი მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომ გადიდებაში. აი რატომ არის, რომ ცენტრალური კომიტეტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რესპუბლიკის მაღალმთიან ზონაში მიგრაციის პროცესების შეკავების ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას.

ჩვენ ვერ ვისწავლეთ ჩვენი ფასდაუდებელი საუნჯის — მიწის ყაირათიანი, მზრუნველი გამოყენება. ბევრ რაიონში ჯერიერნად არ იყენებენ სარწყავ და დაშრობილ მიწებს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ამ უდიდეს რეზერვს. ეს პრობლემა ახალი როდია, ჩვენ იგი არაერთგზის აღგვინიშნავს, მაგრამ სასიკეთო ცვლილებები ჯერჯერობით არ შეიმჩნევა. მაგალითად, თუ მეცხრე ხუთწლედის ერთი წლის მანძილზე საქართველოში ყოველ ჰექტარ დაშრობილ მიწაზე ვიღებდით მთელ ქვეშიში ყველაზე ნაკლებ მოსავალს — საშუალოდ 18,9 ცენტნერ მარცვლოვანებს (საშუალო საკავშირო—23,6 ცენტნერი, მოლდავეთში — 30,5 ცენტნერი), 1978 წელს იგივე პროპორცია დარჩა. ანალოგიური თანაფარდობა შეიმჩნევა აგრეთვე დაშრობილ მიწებზე

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲝᲒᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ VI ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

პარტიულობა და ხალხურობა ჩვენი მხატვრული კულტურის ურყევი საფუძველია. სწორედ ეს განსაზღვრავს მოთხოვნილების იმ მაღალ დონეს, რითაც აფასებენ საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებას კომპოზიტორთა მე-6 სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები. ყრილობა, რომელიც მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მიმდინარეობს, 23 ნოემბერს მუშაობას განაგრძობდა.

განვლილ ხუთ წელიწადში მრავალფროვნული საბჭოთა ხელოვნების სიგანეცრს შემატა ბევრი ახალი ნიჭიერი ნაწარმოები, რომლებიც ასახავენ ჩვენს გმირულ დღევანდელობას, საბჭოთაფის ეროვნულიერ წარსულს, საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს. ეს, — აღინიშნა ყრილობაზე, — თვალნათლივ მოწმობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ნაყოფიერებას, რომელიც ხელოვანთა წინაშე შემოქმედების უსაზღვრო სივრცეს გადაშლის.

ამასთანავე დელეგატები საქმიანად, პრინციპულად საუბრობენ ქვეყნის კომპოზიტორთა ორგანიზაციების შემოქმედებითი ცხოვრების გადასაწყვეტ პრობლემებზე, სახალხო საბჭოთა მუსიკალური კულტურის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა ესთეტიკურ აღზრდაში მისი როლის გაზრდის გზებს.

საბჭოთა სიმღერა არის ჩვენი სინამდვილის დიდება, ხალხის სულიერი სიმდიდრე, მისი ცოცხალი ისტორია, თქვა ე. კოლმანოვსკიმ (მოსკოვი). ამავე დროს მან წუხილით აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს თემატიკურად გაღარიბდა სასიმღერო შემოქმედება. ორმა, მნიშვნელოვანი თემის სიმღერები ხანდახან იჩრდილება ამჩატებული შლეიაგერებით, რომელთაც დასავლური მოდის გავლენა ატყობათ.

ყრილობაზე მაღალი შეფასება მისცეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მასობრივი სიმღერის დღესასწაულების მოწყობის გამოცდილებას. ეს ძალთამყოფელი ტრადიცია ჩვენს დროში ახალ შინაარსს იძენს. — აღნიშნა გ. ოგანოვამ (ალმა-ათა). ორატორები ქმაყოფილებით ლაპარაკობდნენ ეროვნულ საკომპოზიტორო სკოლათა განუხრელ ზრდაზე, რომლებმაც აქტიურად აკლენს თავს ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსთა ახალი თაობა. ეს თემა აფერეს თავიანთ გამოსვლებში ხ. ხვეშაჩვილმა (ნალჩიკი), ვ. ზაგორსკიმ (კიშინიოვი), ი. რიაბტსმა (ტალინი) და სხვებმა. სხვადასხვა რესპუბლიკების კომპოზიტორების, მუსიკალური კულტურების სულ უფრო მჭიდრო კონტაქტი ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანთვისებაა ხდება, ბაზი გაუსვეს ჩ. ნურიმოვმა (აშხაბადი), ი. კორეგმა (მოსკოვი), ა. ნესტერეოვმა (კორკი).

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის კამკეფობის პირველმა მდივანმა ტ. ნ. ხრენიკოვმა.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკუთარი კორ).

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ — ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პოეტ ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „წამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს ბრძანებულება გამოქვეყნდა 23 ნოემბერს, და იმავე დღეს, პოეტის დაბადების დღეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მას გადაეცა მაღალი ჯილდო.

მიმართა რა ი. ბ. აბაშიძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მიულოცა მაღალი ჯილდო, უსურვა წარმატებანი ლიტერატურულ, საზოგადო, მეცნიერულ მოღვაწეობაში, ბედნიერება და ჯანმრთელობა.

ი. ბ. აბაშიძეს გულითადად მიულოცეს ამხანაგებმა ე. ა. შევარდნაძემ, გ. ნ. ენგუჩიძემ, თ. ნ. მენთეშაშვილმა, ზ. ა. პატარიძემ, ო. ე. ჩერქეზიამ, ზ. ა. ჩხეიძემ, ჟ. კ. ზარტავამ.

საპასუხო სიტყვაში ი. ბ. აბაშიძემ დიდი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, საქართველოს პარტორგანიზაციას, რომლის წევრიც არის უკვე ორმოც წელზე მეტი, მადლობა მოახსენა აგრეთვე მის ხელმძღვანელებს.

— მადლობას ვუძღვნი პარტიას, — თქვა მან, — ჩემი მოკრძალებული შრომის მაღალი შეფასებისათვის, იმისათვის, რომ ვიცი — ჩემი გარჯა, პოეტის გარჯა სჭირდება ჩემს ხალხს, ჩემს რესპუბლიკას, ჩემს ქვეყანას.

ჯილდოს გადაცემის ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშარაშვილი.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. გ. აბაშიძე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. გ. გვერდწითელი.

(საქინფორმი).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთისა და იმიერბაიკალის რაიონების მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტრო.

განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

საკვები ძირხვენებისა და სასილოსე სიმინდის მოსავლიანობის მხრივაც. სხვადასხვა მიზეზის გამო შარშან არ მორწყულა 23 ათასი ჰექტარი მელიორირებული მიწები. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაოდენ დიდძალი პროდუქცია დაგვიკლია აქ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ მიღებული თავისი ცნობილი დადგენილებით, როგორც გახსოვთ, სსრ კავშირის სახმანკს, საბჭოთა კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დაავალეს 1990 წლამდე უზრუნველყოთ კოლხეთის დაბლობის მთელი ფართობის სრული დაშრობა და ათვისება. მაგრამ იმის გამო, რომ ამ პრობლემის გადაჭრას კომპლექსურად არ მიუდგნენ, საკმარისად არ იყო გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი, დაბალი იყო მექანიზაციის დონე, არასაკმაოდ იყო აღჭურვილი სამშენებლო, საექსპლოატაციო და სამეურნეო ორგანიზაციები მიწასათხრელი და სამელიორაციო ტექნიკით, სუსტად იყო განვითარებული სამშენებლო ინდუსტრიის ბაზა, ჩამორჩენა განიცადეს საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, სამეურნეობათშორისო და საპლანტაციო გზების მშენებლობაში, აგრეთვე სხვა მიზეზების გამო აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები ყოველად არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

ძნელია გადაჭარბებით შეფასებასთან ყოველი ჩვენგანისათვის სამახსოვრო მოვლენის — ჩვენი ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის პლენუმის მნიშვნელობა, რომელმაც პირველად დააყენა ახლებურად საკითხი, რომ სრულიად აუცილებელია გადავაქციოთ საქართველო — კოლხეთი სამხრეთთან და სუბტროპიკული მიწათმოქმედების რესპუბლიკა განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად.

მაგრამ აქვე დაუფარავად უნდა განვაცხადოთ, რომ პლენუმის მიერ დასახული მიზნები რიგი მაჩვენებლების, განსაკუთრებით პროდუქტიულობის მაჩვენებლის მიხედვით, შეუსრულებელი რჩება სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორის გამო. დასახულ დონეს ვერ მიაღწევს ვერც მეცხოველეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამწუხაროდ, ჩვენ ამის შესახებ ესოდენ გარკვეულად ამიტომ ვლაპარაკობთ, რომ საკმარისი მოკოლნობით არ იყო გამოყოფილი მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობისათვის სასტალური კაპიტალური დაბანდებანი, ბევრი მათგანის მშენებლობა გაჭიანურდა, ხოლო აშენებული ობიექტები საროექტო სიმძლავრეებს ნორმატიული ვადების დარღვევით ათვისებენ.

არსებითი ძვრები არ მომხდარა არც მთის სათიბსაძოვრების ათვისებაში. საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის კოთვნილი პირუტყვისა და ფრინველის სულადობა მთლიანად როდია უზრუნველყოფილი კომბინირებული საკვებით. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია ზოოტექნიკურ, ჯიშთსანაშენო და ვეტერინარულ მუშაობაში.

დამფიქრებელია აგრეთვე ისეთი არაჯანსაღი ტენდენცია, რომელიც ჩვენს სოფლის მეურნეობაში შეიქმნა, — კერძოდ, პროდუქციის წარმოების გეგმების სისტემატური შეფასებლობა და, რაც მთავარია, წარმოებისა და დამზადების ზრდის ტემპების არასწორი თანაფარდობა. სოფლის მეურნეობის 16 ძირითადი სახეობის პროდუქციიდან მეათე ხუთწლიდის სამი წლის მანძილზე არ შესრულებულა 9 სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმები. ამასთან პროდუქციის დამზადების ზრდის ტემპი საგრძნობლად უსწრებს წარმოების ზრდის ტემპს, რის გამოც წარმოებისა და დამზადების ფიზიკური მოცულობანი თანდათან უახლოვდება ერთმანეთს, ხოლო საზოგადოებრივ მეურნეობებში ხორცის შესყიდვის ტემპი მისი წარმოების ტემპს აღემატება. თუ ეს -ტენდენცია კვლავაც გაგრძელდა, მაშინ უახლოეს წლებში, უკვე მეთერთმეტე ხუთწლედში, ჩვენ იმის წინაშე აღმოვჩნდებით, რომ არსებითად შეიზღუდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის, განსაკუთრებით რძის, ხორცის, კვერცხის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, სხვა სასუფთასთა პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის ზრდა.

რესპუბლიკის აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ის არის, რომ გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეები არ შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაძლებლობებს. უკანასკნელი წლების მანძილზე ეს დისპროპორცია კიდევ უფრო მიტად გაღრმავდა: სამრეწველო გადამუშავებისათვის განკუთვნილი მემცენარეობის პროდუქტების წარმოება გაიზარდა 50 პროცენტით, ხოლო ამ პროდუქტების გადასამუშავებელი სიმძლავრენი — სულ მხოლოდ 20-25 პროცენტით.

გადასაწყვეტი ბევრი სხვა საკითხიც არის.

ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ზემოაღნიშნული პრობლემების ერთობლიობა, რესპუბლიკის დიდი პოტენციური შესაძლებლობანი, ის განსაკუთრებული როლი, რომელსაც იგი ასრულებს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში როგორც ძირფასი სამრეთელი და სუბტროპიკული პროდუქტების მიმწოდებელი, განაპირობებდნენ იმას, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 27 სექტემბერს მიიღეს დადგენილება, რომლის განხილვასაც ეძღვნება ჩვენი პარტიულ-სამეურნეო აქტივის დღევანდელი კრება.

ამ დადგენილების მნიშვნელობის შესაფასებლად საკმარისია ითქვას, რომ, თუ 1978 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებამ 2 მილიარდ მანეთს გადააჭარბა, 1985 წლისათვის იგი მიაღწევს თითქმის სამ მილიარდ მანეთს, ხოლო 1990 წლისათვის — 3 მილიარდ 731 მილიონ მანეთს, ანუ შესაბამისად 45 და 86 პროცენტით გაიზრდება.

ჩვენი ეკონომისტების დაახლოებითი გაანგარიშებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი სამუშაო წლიური მუშაკის შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 1990 წლისათვის დაახლოებით 35 პროცენტით მოიმატებს.

აი, რა პერსპექტივებს სახავს ეს დადგენილება.

საქართველოს აგრარიკოსთა არაერთ თაობას უოცნია ასეთ პროგრამაზე.

მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის სწრაფი განვითარების მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ამ პროდუქციის მოხმარება უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. ამიტომ ქვეყანა იძულებულია ყოველწლიურად შემოიტანოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის მზა ჩაი და ციტრუსი.

დადგენილება საქართველოს სოფლის მშრომელებს მიზნად უსახავს უახლოეს ხუთწლედში ჩაის ფოთლის წარმოება წელიწადში 700 ათას ტონამდე გაზარდონ. როგორ გადაეჭიქოთ ეს ამოცანა?

მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა გაშენდეს 11 ათასი ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაციები. ამავე დროს უნდა განხორციელდეს მათი მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების ღონისძიებათა კომპლექსი. მოსავლის ასეთი ზრდის, მეჩაიეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის უზრუნველყოფის ძირითადი რეზერვია წარმოებაში ვეგეტაციურად გასამრავლებელი ჩაის ჯიშის — „კოლხეთის“ ფართო დანერგვა, რომლის მოსავლიანობა ერთიორად აღემატება ახლანდელი ჯიშებისას. ხუთი წლის მანძილზე ეს ჯიში გაშენდება 2,5 ათას ჰექტარზე, რისთვისაც 1981 წელს უნდა გამოვიყენოთ 9 მილიონი ძირი ნერგი და 1985 წლისათვის გავზარდოთ მათი წარმოება ყოველწლიურად 20 მილიონ ძირამდე.

ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა კავშირის ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივს. საჭიროა ამასთანავე გადაჭრით მოეღოს ბოლო ვეგეტაციურად გასამრავლებელი ნერგების გამოყვანის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში არსებულ შეუწყნარებელ გაჭიანურებას, რაც უმთავრესად სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ბრალია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე ჩვენ ვთქვით, რომ მშენებლებს მკაცრად, პარტიულად უნდა მოვკითხოთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმე ჯერაც ვერ გამოუსწორებიათ. ეტყობა, გარკვეული ორგანიზაციული დასკვნების გამოტანა გვმართებს.

„კოლხეთის“ ჯიშის ჩაის გაშენება და ამ ჯიშით ძველი პლანტაციების განახლება სამამულო მეჩაიეობის განვითარებაში თვისებრივად ახალ ეტაპს მოსწავებს. და მას უნდა მოვაკიდოთ, როგორც სუბტროპიკულ მეურნეობაში პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას.

მეჩაიეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ახალი ეტაპის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო უკვე ამთავითვე დაუყოვნებლივ შეიქმნეს მატერიალური ბაზის მომზადებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩაის პლანტაციების ელექტრიფიკაციის სამუშაოთა მოწყობა 15 ათას ჰექტარზე, რაც ჯერჯერობით მხოლოდ მესამედ ფართობზეა შესრულებული. მართლაც რომ შეუწყნარებელია ამ სამუშაოთა ესოდენ ნელი ტემპით წარმოება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როგორც სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში, ისე მის სხვა დარგებში გამოსაყენებელი ტექნიკის სრულყოფას, რემონტის უზრუნველყოფისა და ტექნიკური მომსახურების დონის ამაღლებას უნდა უძღვებოდეს სახსოფლტექნიკა. მაგრამ ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად ასრულებს მხოლოდ მომწოდებელსა და მყიდველს შორის შუამავლის როლს, რაც ყოვლად არასწორი და არასაკმარისია.

დადგენილებაში ხაზგასმულია ჩაის გადაზიდვის ისეთი პროგრესული მეთოდის დიდი მნიშვნელობა, როგორიც არის ჩაის უტარო ტრანსპორტირება, რომელიც ხელს უწყობს ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებას, ნედლეულის დროულ მიტანას ფაბრიკებში, შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირებას, მაგრამ გადაზიდვის მეთოდის დანერგვისათვის ჩაის გადამმუშავებელი მრეწველობა სათანადოდ უნდა მოემზადოს, წინასწარ აღჭურვოს ფაბრიკები უტაროდ მიტანილი ნედლეულის მისაღებად.

არანაკლებ გარჯას მოითხოვს დადგენილებით დასახული იმ ამოცანების რეალიზაციაც, რომლებიც ეხება ციტრუსისა და განსაკუთრებით ლიმონის წარმოების გადიდებასა და მოსავლიანობის ზრდას.

უწინარეს ყოვლისა უნდა გაუმჯობესდეს ციტრუსოვანთა მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეციტრუსეობის რაიონების უზრუნველყოფას ორგანული სასუქით. ახლახან შექმნილმა რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლქიმიამ“ მტკიცე ღონისძიებანი უნდა გაახორციელოს, რაფა უკვე 1980 წლიდან უზრუნველყოს მეურნეობანი საკმარისი რაოდენობის ორგანული სასუქით.

ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლიმონის კულტურას, რომლის წარმოებამ 1990 წლის დამლევისათვის უნდა მიაღწიოს 100 ათას ტონას ახლანდელი 1.000 ტონის ნაცვლად. იმისათვის, რომ ასეთ დონეს მივაღწიოთ, უნდა კვავშენოთ კიდევ 2.300 ჰექტარი ბაღები. ამასთან საჭიროა არა მარტო ახალი ციტრუსის პლანტაციების კაშენება, არამედ ამ პლანტაციებში მაქსიმალური ბოსავლის მოყვანის უზრუნველყოფაც. აი რატომ არის, რომ დადგენილებით საგანგებოდ გათვალისწინებულია სამუშაოთა შესრულება 400-500 ჰექტარ ფართობზე ლიმონის ნარგავების გაზით გათბობისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლედში გაზით გათბობის დანადგარები დაიდგმება ადგაზეთისა და აჭარის ას რესპუბლიკებში, ხობის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში. უკვე 1980 წელს იწყება მათი მშენებლობა 12 ჰექტარზე. ყინვისაგან ციტრუსის ნარგავების დაცვაკად გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ 1980 წელს ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ დაამზადოს პოლიმერული მასალისაგან ასაწყობ-დასაშლელი კარკასები.

გარდა ამისა, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო სამუშაო ინსტიტუტი ამჟამად ამუშავებს ლიმონარიუმების პროექტებს, რომელთა მშენებლობა განხორციელდება რესპუბლიკის სუბტროპიკული ზონის სხვადასხვა კლიმატურ პირობებში.

ამრიგად, თუ ყველა ამ საკითხს წარმატებით გადაეწყვეტთ, მეციტრუსეობის არსენალში გვექნება ყინვისაგან ციტრუსების დაცვის ისეთი მეთოდები, როგორიც არის 400-500 ჰექტარის გაზით გათბობა, ლიმონების ჯგუფური გადახურვა ასაწყობ-დასაშლელი კარკასებით 1.500 ჰექტარზე და ლიმონარიუმებისა — 1.000 ჰექტარზე, რაც ყოველწლიურად ციტრუსის სტაბილური და უხვი მოსავლის სამედო გარანტიას შექმნის.

მევენახეობის ბაზა მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა გაიზარდოს 30 ათასი ჰექტარი ახალი ვენახების გაშენების გზით, 25 ათასი ჰექტარი ვენახები უნდა გაშენდეს კახეთის რეგიონებში, ხოლო დანარჩენი 5 ათასი ჰექტარი ქართლსა და დასავლეთ საქართველოში.

წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონებში, სადაც უნდა აშენდეს სარწყავი სისტემები და შესრულდეს კულტურტექნიკური სამუშაოები, უნდა ავითვისოთ გვალვიანი მიწების დიდი ფართობი. საჭიროა საქმთაკარწყალმშენისა და სახსოფლტექნიკის მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში მოვასწროთ არა მარტო ვენახების გაშენება, არამედ ამ ვენახებში მოსავლის მოყვანაც.

დადგენილება ითვალისწინებს რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარებისათვის კიდევ ერთ სერიოზულ მხარდაჭერას. ეს არის საშუალოდ 20 პროცენტით ყურძნის სახელმწიფო შესასყიდი ფასების მომატება, რის შესაბამისად კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ინდივიდუალური ჩამბარებლები დამატებით მიიღებენ დაახლოებით 30 მილიონ მანეთს წელიწადში. შემოსავლის ეს წყარო რაც შეიძლება კარგად უნდა გამოვიყენონ უმნიშვნელოვანესი დარგის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

სამთაწყაროსა და ნაზარლებში სამი მძლავრი საბჭოთა მეურნეობის შექმნა საშუალებას მოგვცემს გადავაქციოთ წითელწყაროს რაიონი მევენახეობის მსხვილ ბაზად.

მევენახეობის განვითარების მნიშვნელოვან რეზერვს შეიცავს ახალგაზრდა ნარგავების შპალერებზე გადაყვანა, მაგრამ ამ რეზერვის ამოქმედებას აფერხებს ვენახის მარგილების ნაკლებობა. ეს პრობლემა უფრო მწვავედ დადგება მეთერთმეტე ხუთწლედში დარგის განვითარების კრიტიკ გეგმებთან დაკავშირებით.

ამისათვის, რომ მივაღწიოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაზღვრულ მიჯნებს — მეთერთმეტე ხუთწლედში ვაწარმოოთ 1200 ათას ტონამდე და მეთორმეტე ხუთწლედში 1600 ათას ტონამდე ყურძენი — უკვე 1980 წელს ახალი ვენახებისათვის დაგვჭირდება 6,3 მილიონი მარგილი, არსებულთა შესაკეთებლად კი კიდევ 5 მილიონი, ანუ სულ 11,3 მილიონი. ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და უზრუნველყოს ვენახების მთელი ფართობის გადაყვანა მოვლა-მოყვანის შპალერულ ტექნოლოგიაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ჩვენი წინადადება, რომ 1985 წლისათვის ხილის წარმოება გავზარდოთ 800 ათას ტონამდე, 1990 წლისათვის კი 1200 ათას ტონამდე.

ეს ადვილი ამოცანა როდია. ხილის წარმოება ორჯერ, შემდეგ კი სამჯერ უნდა გაიზარდოს. მართალია, მისი წარმატებით გადაწყვეტისათვის მეათე ხუთწლედში გაწეულია გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა: 13 ათას ჰექტარზე გაშენებულია ინტენსიური ბაღების დიდი მასივები, ქარულისა და გორის რაიონებში იქმნება აგროსაწარმოო კომპლექსები.

მომავალ ხუთწლედში დასახულია ახალი ინტენსიური ბაღის გაშენების მოცულობა 21 ათას ჰექტარამდე გავზარდოთ. უახლოეს წლებში ქართლი, სამხრეთ ოსეთი და მესხეთი მებაღეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესში უნდა გადაიქცეს ინტენსიური სამრეწველო მებაღეობის დიდ რეგიონებად.

იმისთვის, რომ ეს ამოცანა გადაწყდეს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა მევენახეობისა და მებაღეობის მთავარმა სამმართველომ, აგრეთვე სახსოფლტექნიკამ, რომელიც ბაღების გასაშენებლად ამზადებს მიწის მასივებს, ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და მიაღწიონ გამოყოფილი სახსრების სრულ ათვისებას. სრულიად შეუწყნარებელია, რომ 1977-1978 წლებში მეხილეობის კომპლექსებში გეგმით გათვალისწინებული 6,3 ათასის ნაცვლად მხოლოდ 4,2 ათასი ჰექტარი ინტენსიური ბაღები გაშენდა.

როგორც ხედავთ, დადგენილებით დასახულია მრავალწლოვანი კულტურების პროდუქციის წარმოების ზრდის მასშტაბური ამოცანები. ცხადია, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ გვექნება საკმაოდ მტკიცე სანერგე მეურნეობა. მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენ დაგვჭირდება 290 მილიონი ციტრუსის, ხეხილისა და ვაზის ნერგი. არსებული სანერგე მეურნეობის ბაზა უზრუნველყოფს ამ რაოდენობის სარგავი მასალის წარმოებას.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ყოველწლიურად ახორციელებს საერთო-საკავშირო ფონდში მიწათმოქმედების პროდუქციის მიწოდების გადიდების მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

საკავშირო დადგენილებამ მოიწონა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინადადება მომძე რესპუბლიკებისათვის კვების ძვირფასი პროდუქტების გაგზავნის მოცულობის გადიდების შესახებ. დადგენილია, რომ 1985 წლისათვის ჩრდილოელ მომხმარებლებს გაეგზავნებათ 135 ათასი ტონა ხილი, მათ შორის 10 ათასი ტონა ხურმა; 150 ათასი ტონა ციტრუსი, აქედან 132 ათასი ტონა მანდარინი, 10 ათასი ტონა ფორთოხალი, 8 ათასი ტონა ლიმონი, 60 ათასი ტონა საადრეო კარტოფილი, 70 ათასი ტონა ბოსტნეული.

ხოლო იმისათვის, რომ გეგმაზომიერად გაუჭრობესდეს მოსახლეობის ხილით, ბოსტნეულით, კარტოფილით მომარაგება და რესპუბლიკამ ღირსეულად გაართვას თავი საპატიო მოვალეობას ქვეყნის მუშათა კლასისა და ინტელიგენციის წინაშე, საჭიროა დადგენილებაში გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონის უზრუნველყოფა.

მებოსტნეებმა და მეკარტოფილეებმა უნდა გადაწყვიტონ მთელი რიგი პრობლემები, რათა 1985 წლისათვის ბოსტნეულის წარმოება გაადიდონ 750 ათას ტონამდე და 1990 წლისათვის — 900 ათას ტონამდე, ხოლო კარტოფილისა — შესაბამისად — 500 და 600 ათას ტონამდე.

ეს ამოცანა არც ისე ძნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ რაოდენობრივ მხარეს. მაგრამ საქმე უკვე ეხება იმას, რომ საჭიროა ასორტიმენტის დაცვა და მშრომელების უზრუნველყოფა ბოსტნეულით თთელი წლის მანძილზე.

ცხოვრება დაბეჯითებით გვიკარნახებს, რომ საჭიროა კიდევ უფრო დავაჩქაროთ დახურულ გრუნტში მებოსტნეობის განვითარება, განსაკუთრებით თერმული წყლების გამოყენებით, და ეს აისახა საკავშირო დადგენილებაში. მეთერთმეტე ხუთწლედის წლების მანძილზე სათბური კომბინატები უნდა აგაშენოთ 120 ჰექტარ ფართობზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ სასათბურე კომბინატების მშენებლობის ჩაშლა.

დროა, ამხანაგებო, ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მოვთხოვოთ, რომ საბოლოოდ გადაჭრან საკუთარი წარმოების ხარისხიანი სათესლე კარტოფილით რესპუბლიკის უზრუნველყოფის პრობლემა. ცხადია, რომ ეს ერთი დღის ამოცანა არ არის, მაგრამ უკვე შეიძლება და საჭიროა იგი საქმიანად დაისვას და გადაიჭრას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად ჩვენი **მეცხოველეობა** მტკიცედ დადგა დინამიკური განვითარების გზას და შექმნა ბაზა იმ მაღალ მოთხოვნათა განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ წამოგვიყენა.

ეს ამოცანა ორ ძირითადი ფაქტორზეა დაფუძნებული: ერთი — ეს ეკონომიკური ეფექტიანობა, ანუ ეკონომიკური ეფექტიანობა, ანუ ეკონომიკური ეფექტიანობა, ანუ

განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ

(გაგრძელება).

ექსპერიმენტული საწარმოო აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებების, ხოლო ჟერჯაანის რაიონში — ყურძნისა და ღვინის საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ, რომელიც დღემდე არ შესრულებულა. უნდა აღვნიშნოთ სეზონებს შუა პერიოდი ისეთი ვარაუდით, რომ აღნიშნულ რაიონებში ჩაისა და ყურძნის რეფისა და გადამუშავების სეზონისათვის ეს პასუხისაგები კამპანია ახალი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ფარგლებში ჩატარდეს.

ამხანაგებო!

ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანათა განხორციელება უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მრავალი სამრეწველო საწარმოს და სატრანსპორტო ორგანიზაციის მუშაობასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული პროგრამა იმიტომაც არის კომპლექსური და მასშტაბური, რომ მის რეალიზაციაში მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო და სატრაქტორო მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ფერადი მეტალურგიის, გეოლოგიის, ცელულოზა-ქაღალდის, ქიმიური, გაზის, მიკრობიოლოგიური მრეწველობის და გზათა სამინისტროები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების პროცესში განვითარების დამატებითს ბიძგს მიიღებენ ამ დარგების მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაშია განლაგებული.

ამ საწარმოთა წინაშე დასახულია მეტად სერიოზული ამოცანები. მაგრამ, ალბათ, მათ შორის უმთავრესი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დაჩქარება, სოფლის მეურნეობის მშრომელთა უზრუნველყოფა დიდმწარმოებლური მანქანებითა და მექანიზმებით, რომლებიც ამსუბუქებენ ან გამორიცხავენ ხელის შრომას. ეს ამოცანა განსაკუთრებით აქტუალურია მეთერთმეტე ხუთწლედის წინა ხანებში, როცა არსებითად შემცირდება მუშახელის ბალანსი სახალხო მეურნეობაში, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ყოველწლიურად გაიზრდება.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით გვაქვს გარკვეული ძვრები. მობილურ ტექნიკასთან ერთად შეიქმნა მცირე მექანიზაციის საშუალებანი, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი ძალა გახდა რესპუბლიკის სპეციფიკურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. უფრო კონკრეტული და მიზანდასახული გახდა მექანიზაციის საშუალებათა შექმნისათვის მოძიებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების და ამ საშუალებათა დამამზადებელი ქარხნების სამუშაოთა პროგრამები.

ამავე დროს მიღებული შედეგები ვერა და ვერ დააკმაყოფილებს. ჯერჯერობით სოფლის მეურნეობაში ხელის სამუშაოთა მექანიზაციის პრობლემები აღარესად ნელა წყდება. მთლიანად აქ მექანიზაციის დონე მხოლოდ 10 პროცენტია. სრულებით არ იყენებენ მექანიზმებს ბოსტნეულის თესვის დროს, ხოლო ბოსტნეულის მოსავლის აღებისას მექანიზაციის დონე 4 პროცენტს, მეცხოველეობაში — კი 7-8 პროცენტს შეადგენს.

ამრიგად, მეცნიერები და წარმოების მუშაკები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის, დიდ ვალში არიან სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე.

სამხრეთელ და სუბტროპიკულ კულტურებს, რომლებიც საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოგვყავს, ხასიათებს გადიდებული შრომითი დანახარჯები. ამიტომ მათი წარმოების ინტენსიფიკაცია წარმოუდგენელია, თუ მეურნეობები აღჭურვილი არ იქნა ფართო გამის მექანიზაციის საშუალებებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ამ მიმართულებით საშუალოთა ვრცელ პროგრამას სახავს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიიღებს ისეთ მანქანებსა და მექანიზმებს, როგორიც არის პორტალური ტიპის მთის ფეთმავალი შასი ჩაის პლანტაციებისათვის, ჩაის საკრეფი მანქანები და მცენარეთა მასაზრდოებელი კულტივატორი 20 გრადუსამდე დახრილობის მთის ფერდობებზე სამუშაოდ, ახალი ჩაის პლანტაციების დამმუშავებელი და ჰერბიციდების შემტანი მუშაობრგანოებით აღჭურვილი კომბინირებული კულტივატორი, მონორელსიანი ტრანსპორტიორი, კალმის დასამყნობი ხელის სასხლავი, „კშპ-1“ ჩაის საკრეფი აპარატების კომპლექტი, ციტრუსების მოტორიზებული შესასხურებელი, გრძელჭოვლიანი დასაწვიმი აპარატი და ბევრი სხვა.

ფაროოვდება აღნიშნული მანქანებისა და მექანიზმების წარმოების შესაძლებლობანი. 1981-1985 წლებში ქუთაისში აშენდება სამოო მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილი ტრაქტორებისა და მანქანების ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 36 მილიონი მანეთის პროდუქციას, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნისა და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და მოწყობილობის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს რეკონსტრუქციის შედეგად მათი წლიური სიმძლავრეები ისეთნაირად გაიზრდება, რომ გამოუშვან დაახლოებით 45 მილიონი მანეთის პროდუქცია. 20 ათასი კვადრატული მეტრი მოემატება თბილისის „საქსოფლმანქანის“ ქარხნის საწარმოო კორპუსს.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ძირეულად უნდა შევაცვლევნოთ მუშაობის სტილი და მეთოდები, როგორც მექანიზაციის საშუალებათა შემმუშავებელ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებს, ისე ამ საშუალებათა დამამზადებელ ქარხნებსაც. რადგან დღეკანდელი დგომარეობა სრულიადაც არ გვაძლევს ხელს.

უწინარეს ყოვლისა მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამპროექტებლებზე. ჩვენში ამ საკითხებზე მუშაობს 8 ორგანიზაცია, რომლებსაც სოლიდური მეცნიერული პოტენციალი აქვთ და ურთულესი პრობლემების გადაჭრა შეეძლიათ.

თითოეულ მათგანს აქვს სერიოზული მიღწევებიც და არსებითი ნაკლოვანებანიც. დაწვრილებით არ გავანალიზებთ მათს საქმიანობას და მხოლოდ ვიტყვით, რომ მათი მუშაობის ეფექტიანობა ჯერჯერობით არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა პარალელიზმი მუშაობაში, დაქსაქსულია მეცნიერთა კადრები, სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებს არა აქვთ სათანადო საწარმოო-ტექნიკური შესაძლებლობანი, არის ნაკლოვანებები იმ მანქანებისა და იარაღების სერიული წარმოების ორგანიზაციაში, რომლებმაც სახელმწიფო გამოცდა გაიარეს. ამიტომ მცირეა მათი საქმიანობის უკუგება და ზოგჯერ მანქანების შექმნის ციკლი 10 წლამდე ჭიანურდება. სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (დირექტორი — ამხ. თ. გ. ნაზარეიშვილი), რომელიც მეთაური ინსტიტუტია და მოწოდებულია განსაზღვროს პოლიტიკა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებში, ჯერჯერობით თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს.

ამგვარი მდგომარეობაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მექანიზაციის დონე სოფლის მეურნეობის ისეთ მარტივად დარგში, როგორიც არის მეჩაიეობა, კვლავაც დაბალია. უარესად არის საქმე მეციტრუსეობაში — აქ, არსებითად, მექანიზაცია პრაქტიკულად არც არის. ეს არა მგონია, დაგვაკმაყოფილოს იმან, რომ „საქსოფლმანქანის“ ქარხნის მთლიანი პროდუქციის საერთო პროცულობიდან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ფილად 1977 წელს მოდიოდა 16,8 პროცენტი, 1978 წელს — 20 პროცენტი, ხოლო 1979 წელს მოსალოდნელია 32 პროცენტზე ოდნავ მეტი. უკეთ არ არის საქმე ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაშიც.

ამ საკითხში სახელმწიფო წესრიგი უნდა დავამყაროთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაინტერესებულ უწყებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა გაანალიზონ ყოველივე, რაც უკვე გაკეთდა, და დაიმუშაონ კოორდინაციის ისეთი სისტემა, რომელიც

გამორიცხავს არსებულ ნაკლოვანებებს და უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში შრომის მექანიზაციის პრობლემაზე მომუშავე ყველა დაწესებულების ღონისძიებათა კონცენტრაციას და მუშაობის მაქსიმალურ ეფექტიანობას.

როგორც ცნობილია, ჩვენმა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირში პირველმა დაიწყო სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი კიდული საბაგირო გზებისა და მათი ავტომატიზაციის სისტემების კვლევის, შემუშავებისა და დანერგვის სამუშაოთა კომპლექსის განხორციელება.

ახლა სამხრეთ ოსეთის მთის სათიბებსა და საძოვრებზე უკვე მოქმედებს ორი კიდული საბაგირო გზა და თითოეულ მათგანს სეზონში შეუძლია გადაზიდოს 500 ტონა თივა. სატვირთო და სამგზავრო საბაგირო გზის მშენებლობა დამთავრდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში. კიდევ ოთხი საბაგირო გზის მშენებლობა დაიწყო მესტიის, ლენტეხის, ბორჯომისა და ხულოს რაიონებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს საბაგირო გზების გამოყენების შემდგომ გაფართოებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბაგირო გზების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დაეკისრა მეთაური ორგანიზაციის ფუნქციები. მან უნდა განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა კომპლექსი, რათა შექმნას და დანერგოს სპეციალური კიდული საბაგირო გზები მთის რაიონებში ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, თივის, სასუქების ტრანსპორტირებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოს ამ საბაგირო გზების მშენებლობა, დამონტაჟება, გამართვა და მათი მომსახურე კადრების მომზადება. შეიქმნა სპეციალურ სახეობათა ტრანსპორტის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი, განხორციელდა ღონისძიებანი საქართველოს საბაგირო გზების მთავარი სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. საბაგირო გზების მოწყობილობის წარმოების უზრუნველყოფის მიზნით 1980-1984 წლებში ახალქალაქში აშენდება სპეციალური ქარხანა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების დროს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის ძნელად მისადგომ ადგილებში, მთის სათიბებსა და საძოვრებზე აშენდება 66 საბაგირო გზა, რომელთა საერთო სიგრძე 118 კილომეტრი იქნება.

ამ პროგრამის რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს ამჟამად აუთვისებელი 50 ათასი ჰექტარიდან გამოვზიდოთ 100 ათას ტონამდე თივა, რაც მნიშვნელოვანი წვლილი იქნება მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზის შექმნაში.

სოფლის მეურნეობაში შრომის მექანიზაციის საკითხები ყოველთვის პარტიული კომიტეტების ზრუნვის საგანი იყო, მაგრამ ახლა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მათ უპირველესი ადგილი განეკუთვნება პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობაში და მუდმივი კონტროლი უნდა დაუწესდეს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის ზრდის კვალობაზე გაფართოვდება გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეები, ამას კი, თავის მხრივ, დამატებითი ტექნოლოგიური მოწყობილობა დასჭირდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად განვითარდეს რესპუბლიკაში განლაგებული მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოები. 1983-1985 წლებში ამოქმედდება ჩაის, ღვინისა და საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა საწარმოო სიმძლავრეები, ამ დარგის მანქანათმშენებელი ქარხნების მშენებლობასა და გაფართოებას 36 მილიონი მანეთი მოხმარდება. კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის მეთაური სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროსთვის აშენდება ექსპერიმენტული საამქრო, ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს:

ჯერ ერთი, ამ საამქროს ამოქმედების შედეგად 50 პროცენტით შეამცირდება „შემუშავება-დანერგვის“ ციკლის ხანგრძლივობა;

მეორეც, აქ შესაძლებელი იქნება ახალი მოწყობილობის საცდელი ნიმუშების დამზადება, რაც ამ სამუშაოსაგან გაათავისუფლებს მანქანათმშენებელ ქარხნებს.

მნიშვნელოვნად უმჯობესდება აგრეთვე ამ ქარხნების კოლექტივების საყოფაცხოვრებო პირობები.

ზემოთ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ახალ, არატრადიციულ სახეობათა ტრანსპორტის შესახებ (საბაგირო გზები, მონორელსიანი ტრანსპორტიორები). მაგრამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, კიდევ უფრო განვითარდება რკინიგზის ტრანსპორტიც.

დადგენილება ითვალისწინებს 1980-1985 წლებში მარაბდა-ახალქალაქის 160 კილომეტრიანი რკინიგზის ხაზის მშენებლობას, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 140 მილიონ მანეთს აღემატება. აღსანიშნავია, რომ ეს ხაზი გაივლის ისეთი რაიონების ტერიტორიაზე, როგორიც არის თეთრი წყაროს, წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის რაიონები, რომლებსაც ახლა რკინიგზის კომუნიკაციები არა აქვთ.

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს ტვირთის, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვას რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში.

ამრიგად, აღვილი დასანახია, თუ რა პერსპექტივები ესახება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ აღმავლობასთან ერთად დადგენილება ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელი დარგების, კერძოდ, კვებისა და ხორც-რძის მრეწველობის შემდგომ სწრაფ ზრდასაც.

ტრადიციულად ასე მოხდა: კვების მრეწველობა, რომელსაც კარგი და რამდენადმე უნიკალური ნედლეულის ბაზა აქვს, რესპუბლიკის სპეციალიზაციის დარგი გახდა და სწრაფად ვითარდება, თუმცა სერიოზულად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპს.

სურსათის წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად შესამჩნევად გაუმჯობესდა მისი ხარისხი. ახლა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოები უშვებენ სახელმწიფო ხარისხსინაშინან 480 ნაწარმს.

კვების მრეწველობის მუშაკთა შრომითმა კოლექტივებმა მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში წარმოების ზრდის ტემპი 22,1 პროცენტით გაადიდეს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 16,3 პროცენტის ნაცვლად.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასახულია სერიოზული და საკმაოდ ძნელი ამოცანები. 1980 წელს რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკებმა 1975 წელთან შედარებით უნდა აწარმოონ მეტი: ღვინის მასალა — 56 პროცენტი, შამპანური — 36 პროცენტი, კონიაკი — თითქმის 59 პროცენტი, ყურძნის ღვინო — 32 პროცენტზე მეტი. ამასთან ღვინის ჩამოსხმა რესპუბლიკაში ერთიორად და მეტად უნდა გაიზარდოს. სამარკო ღვინოების წარმოება გაიზრდება თითქმის ხუთჯერ, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა — 44 პროცენტით და მეტად, აქედან ბოსტნეულისა — ერთისამად, ტომატისა — ერთიორად, სანავშვო კონსერვებისა — ერთიორად. ბაიხაო ჩაის წარმოება გაიზრდება 44,4 პროცენტით, ლუდისა — 39,1 პროცენტით, მინერალური წყლების ჩამოსხმა — 23 პროცენტით.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია პროდუქციის ასორტიმენტის მნიშვნელოვანი გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება. 1980 წელს 1975 წელთან შედარებით ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოება ერთიათად და მეტად გაიზრდება.

მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში რესპუბლიკის კვების მრეწველობის ზრდის შესანიშნავ პერსპექტივებს სახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

1990 წლამდე პერიოდისათვის და 1981-1985 წლებში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის განვითარების ძირითადი ამოცანებია დარგების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფა და მათი სპეციალიზაცია იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მათი როლი და ეკონომიკური ეფექტიანობა შრომის სარაიონთაშორისო დანაწილებაში და დაკმაყოფილდეს საკავშირო მოთხოვნა ჩაის, ღვინის, კონსერვის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის პროდუქციაზე, აგრეთვე გაიზარდოს სურსათის წარმოება იმ ვარაუდით, რომ გათვალისწინებული პერიოდის დამლევისათვის მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე.

მთლიანი პროდუქციის წარმოების 1985 წლის გეგმა გაიზრდება 315 მილიონი მანეთით, ხოლო 1990 წლის გეგმა — 330 მილიონი მანეთით.

დასახულ ამოცანათა წარმატებული გადაწყვეტის მიზნით 1981-1985 წლებში გათვალისწინებულია კვების მრეწველობის ცალკეული დარგების სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი გადიდება ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით, რისთვისაც გამოიყოფა 486 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, ამასთან მინის ტარის წარმოების გადიდებისათვის — 59,9 მილიონი მანეთი, რაც ერთიორად აღემატება მეათე ხუთწლედის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას.

დადგენილებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული რესპუბლიკის კვების მრეწველობის ცალკეული დარგების ამოცანები.

ჩაის მრეწველობა. მიმდინარე წელს დამზადებული და გადამუშავებულია 453,7 ტონა ჩაის ფოთოლი. 1978 წლის მაჩვენებლებით ჩაის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1970 წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა.

რესპუბლიკაში იქმნება ჩაის მრეწველობის ახალი დარგი — ჩაის კონცენტრატების წარმოება, რომელსაც უთუოდ დიდი მომავალი აქვს.

დასახულია მეთერთმეტე ხუთწლედში ჩაის მრეწველობის განვითარების ფართო პროგრამა.

ნედლეულის შეუფერხებელი გადამუშავების უზრუნველსაყოფად დადგენილება ითვალისწინებს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ჩაის პირველადი გადამუშავების წლიური სიმძლავრე 650 ათას ტონამდე გაიზარდოს.

ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია, თუ 1981-1985 წლებში სიმძლავრეების მატება შეადგენს 122 ათას ტონას, რისთვისაც აშენდება 11 ახალი ჩაის ფაბრიკა, რომელთა საერთო წლიური სიმძლავრე იქნება 63,8 ათასი ტონა, გაფართოვდება 12 ჩაის ფაბრიკა, რის შედეგად მათი წლიური სიმძლავრე გაიზრდება 42,3 ათასი ტონით, განხორციელდება ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს წლიური სიმძლავრის გადიდებას 15 ათასი ტონით.

ჩაის ფოთლის შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების გაუმჯობესების მიზნით მომავალ ხუთწლედში აშენდება 100 საპერიფერიო მისაღები 2უნქტი, 10.000 კვადრატული მეტრი ფართობის მექანიზებული ჩაის საცავები. მთლიანად დამთავრდება ნედლეულის უტაროდ ტრანსპორტირების მეთოდის დანერგვა. გარდა ამისა, აშენდება 20 ათასი ტონა პროდუქციის წლიური სიმძლავრის მქონე ორი ჯგუფური სახარისხებელი ფაბრიკა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჩაის ფოთლის პირველადი დამუშავების ფაბრიკების სიმძლავრეს განთავისუფლებულ ფართობებზე დამატებითი ტექნოლოგიური მოწყობილობის დადგმის შედეგად. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ჩაის პროდუქციის ასორტიმენტი.

ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიური ბაზის განმტკიცების მიზნით დადგენილება ითვალისწინებს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციას, რის შედეგად ჩაის მრეწველობის მოწყობილობის წარმოების წლიური მოცულობა 6 მილიონ მანეთამდე გაიზრდება. ამ პროგრამის რეალიზაცია შექმნის შესაძლებლობას, რომ ჩაის მრეწველობა ტექნიკურად განახლდეს ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიის ბაზაზე.

მუშათა კადრებით ჩაის მრეწველობის უზრუნველყოფის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ქ. მარაბდაში გაიხსნება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ხოლო ჩაის პროპაგანდასა და რეკლამას გაუწევს „ჩაის სახლი“, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია თბილისში.

ჩაის მრეწველობის მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პროგრამა ითვალისწინებს 415 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლების, 2.250 ბავშვისათვის განკუთვნილი საბავშვო ბაღებისა და ბაგების, პიონერთა ბანაკების, პანსიონატებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობას.

ფართო პერსპექტივები ესახება ღვინის მრეწველობას, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის დამზადების მოცულობა, შეიქმნა მყარი ნედლეულის ბაზა, მაგრამ როგორც ყურძნის გადამმუშავებელი, ისე მეღვინეობის პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეთა ზრდის ტემპი შესამჩნევად ჩამორჩება ნედლეულის ბაზის ზრდის ტემპს. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდება მეთერთმეტე ხუთწლედში: 1985 წელს ყურძნის წარმოება მიაღწევს 1,2 მილიონ ტონას, ხოლო ღვინის წარმოება 35 მილიონ დეკალიტრს, ე. ი. ყურძნის გადამუშავების მოცულობა და მეღვინეობის პროდუქციის წარმოება 1980 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზრდება.

ნედლეულის ბაზისა და მრეწველობას შორის დისპროპორციის ლიკვიდაციის მიზნით შემუშავებულია 1981-1985 წლებში ღვინის მრეწველობის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის ვრცელი პროგრამა.

გათვალისწინებულია პირველადი მეღვინეობის საწარმოო სიმძლავრეთა გადიდება სეზონში 496 ათასი ტონით, ღვინის ჩამომსხმელი ქარხნებისა — 7,5 მილიონი დეკალიტრით, შამპანური ღვინოების ქარხნებისა — 15 მილიონი ბოთლით წელიწადში, კონიაკის ქარხნებისა — 0,5 მილიონი დეკალიტრი მზა კონიაკით, სამარკო ღვინოების მარნებისა — 8 მილიონი დეკალიტრით, საკუპაჟო ბაზებისა — 4 მილიონი დეკალიტრით, მოტკბო ღვინოების მარნებისა — 2,4 მილიონი დეკალიტრით, მეღვინეობის ნარჩენების კომპლექსური გადამუშავების ქარხნებისა — 112 ათასი ტონით.

გათვალისწინებულია აშენდეს „ღვინისა და ვაზის სახლი“ — მევენახეობისა და მეღვინეობის კულტურული ცენტრი. დარგის მუშაკთათვის აშენდება 20 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

კონსერვის მრეწველობის ეკონომიკური ბაზის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს დარგი ფართოდ განვითარდა 1971-1978 წლებში. მაგალითად, 1978 წელს 1970 წელთან შედარებით ხილ-ბოსტნეულის კონსერვების წარმოება რესპუბლიკაში გაიზარდა 65,5 პროცენტით, ხოლო 1975 წელთან შედარებით — 18,0 პროცენტით, და შეადგინა 378 მილიონი პირობითი ქილა.

არსებითად განახლდა საწარმოთა ძირითადი ფონდები, საწარმოები აღიჭურვა ახალი მექანიზებული ხაზებითა და ავტომატური მოწყობილობით.

კონსერვის მრეწველობის წარმატებათა მიუხედავად, მისი დღევანდელი მდგომარეობა დამაფიქრებელია. განვითარების ტემპით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნედლეულის ბაზის განვითარების ტემპს.

სეზონურობა კონსერვის მრეწველობაში დიდ ზარალს აყენებს დარგის ეკონომიკას. უპირველეს ყოვლისა, იგი აუარესებს სამძლავრეებისა და ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების კოეფიციენტს, აფერხებს საბრუნავი სახსრების ბრუნვადობას, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, რითაც შესაბამისად აქვეითებს წარმოების რენტაბელობას. წარსულში დაშვებული შეცდომების შედეგად ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებელი საწარმოო სიმძლავრენი განლაგებულია არარაციონალურად, ნედლეულის რესურსების გაუთვალისწინებლად.

კონსერვის ქარხნები ყოველთვის როდი იღებენ დაგეგმილი რაოდენობისა და ასორტიმენტის ნედლეულს.

მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, კვების მრეწველობის სამინისტრომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად კარგად უნდა გაიაზრონ კონსერვის მრეწველობის პრობლემები და შესაბამისი წინადადებანი შემოიტანონ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განსახილველად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს ეფერხოთვანი კულტურების მრეწველობის სახელმწიფო აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებისათვის მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია 31 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი.

უალკოჰოლო სასმელების მრეწველობაში დადგენილებით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში უალკოჰოლო სასმელების მაღალხარისხოვანი ნახევარფაბრიკატების ორი ქარხნის მშენებლობა, რომლებიც ამ ნახევარფაბრიკატებით მომამზადებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს. ერთი, ციტრუსებისა და სუბტროპიკული ნაყოფის გადამმუშავებელი ქარხანა, რომლის სიმძლავრე იქნება წელიწადში 5 ათასი ტონა, აშენდება დასავლეთ საქართველოში; მეორე, ხილ-ბოსტნეულისა და არომატული ნედლეულის გადამმუშავებელი, წელიწადში 25 ათასი ტონა სიმძლავრის ქარხანა — აღმოსავლეთ საქართველოში. დაინერგება ახალი ტექნოლოგია, რის შედეგადაც წელიწადში გადამუშავებენ იმ ადგილობრივი ჯიშების 5,5 ათას ტონა ციტრუსებს, რომლებსაც ახლა ნაყენის წარმოებაში არ ხმარობენ.

უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის საჭიროა ისეთი სამხრეთული სუბტროპიკული კულტურების გაშენება, როგორიც არის ფეიჰოა, ლიმონი და ზოგიერთი სხვა კულტურა.

ღვინის, მინერალური წყლების, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კონსერვის წარმოების მკვეთრი გადიდება მოითხოვს მინის ტარის წარმოების შესაბამის ზრდას. ამ დარგში დასახულია ვრცელი პროგრამა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს კვების მრეწველობის საკუთარი მანქანათსაშენებელი ბაზის შექმნა. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია, რომ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნას არასტანდარტული მოწყობილობის დამზადებისა და რეკონსტრუქციის და მოქმედი მოწყობილობის სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება.

საქართველოს კვების მრეწველობა განუხრელად უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. ეს მოითხოვს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამის განვითარებას, მათი მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს კვების მრეწველობის ობიექტების ტექნიკური განვითარების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, ხელის შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ვიწრო ადგილების ლიკვიდაციის, უნარჩენო წარმოების უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, წარმოების მუშაკთა სანიტარიულ-ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და სხვა საკითხთა გადაწყვეტას.

დაჩქარებული ტემპით განვითარდება ხორცისა და რძის მრეწველობა.

ნედლეულის ბაზის შეზღუდულობის მიუხედავად მთლიანად ეს დარგი თავს ართმევს თავის ამოცანებს და წლითიწლობით ზრდის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების მოცულობას.

ამასთან ერთად ხორცისა და რძის მრეწველობის განვითარებაში შეიმჩნევა გარკვეული ჩამორჩენა ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში. ეს მოითხოვს, რომ დარგის მუშაკებმა მაქსიმალურად დაძაბონ ძალ-ღონე, რათა ხუთწლედის დამლევამდე დარჩენილ დროში აანაზღაურონ დანაკლისი, შეასრულონ გეგმა.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ დაძაბულია ხორცისა და რძის ბალანსი. მართალია, ბოლო წლებში შეიმჩნევა ხორცისა და რძის პროდუქციაზე რესპუბლიკის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დოტაციის ხვედრითი წონის ერთგვარი შემცირების ტენდენცია, მაგრამ შინაგანი რესურსების ხარჯზე ხორცისა და რძის წარმოების მაქსიმალური გადიდების პრობლემა ჯერჯერობით ვერ გადაიჭრა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სისტემატურად აღღვევენ პირუტყვის მიწოდების გრაფიკებს. ეს გადამმუშავებელ მრეწველობაში ქმნის დაძაბულობას, იწვევს პირუტყვის წონის დიდ დანაკარგებს. ხორცის დაკარგვა სრულიად შეუწყნარებელი მფლანგველობაა. ამ უსიამოვნობას ბოლო უნდა მოეღოს.

იგივე უნდა ითქვას რძის დამზადებისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის შესახებ. იმის გამო, რომ არ არის მაცივარი მოწყობილობა, უარესდება დამზადებული რძის ხარისხი, მისი რაოდენობაც კლებულობს. ხელშმწყობ

განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ამის მიუხედავად, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვა ჯერ-ჯერობით მთლიანად არ შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ამოცანებსა და ინტერესებს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „წარმოების ცალკეული დარგების ყველა გეგმა უნდა იყოს ზუსტად კოორდინირებული, დაკავშირებული და ამასთან შეადგენდეს იმ ერთიან სამეურნეო გეგმას, რომელიც ჩვენ ასე გვჭირდება“.

სოფლის მეურნეობის მეცნიერული დაგეგმვა, ჩვეულებრივ, უნდა დავიწყოთ ქვემოდან — უშუალოდ ბრიგადებში, ფერმებში, განყოფილებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მონაწილეობა მივაღებინოთ მოწონაე კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მეურნეობათა ქვეგანაყოფების სპეციალისტებსა და ხელმძღვანელებს.

ახლა მთავარი ის არის, რომ ყველა რაიონმა დეტალურად განიხილოს მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებსა და ნაბიჯთა მოცულობანი და წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და შესაბამის რეგიონებში მისი ეფექტიანობის ამაღლების რეალური შესაძლებლობათა გათვალისწინებით რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ნამდვილად სახელმწიფო წესრიგი უნდა დაამყარონ სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში და ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე დააყენონ იგი.

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის დადგენილება ნათლად ადასტურებს, თუ რაოდენ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის